

ნასყიდობის ხელშეკრულება №რქმ/

ქ. თბილისი

_____ 2019 წელი

ერთის მხრივ, შპს „ჯიარ ქონების მართვა“ (ს/კ 202460103), შემდგომში – “გამყიდველი“, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის კობა ლაცაბიძეს სახით და მეორეს მხრივ, _____ (პ/ნ ს/კ _____), შემდგომში – “მყიდველი“, შპს ”ჯიარ ქონების მართვის“ მიერ 2019 წლის _____ გამოცხადებული №___/___ ელექტრონული აუქციონის (ინტერნეტ-აუქციონი) შედეგების საფუძველზე და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1 შპს ”ჯიარ ქონების მართვის“ მიერ ელექტრონული აუქციონის (ინტერნეტ-აუქციონი) წესით _____ სატრანსპორტო საშუალების რეალიზება.
- 1.2 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს რეალიზებული ქონების თაობაზე გამოცხადებული ელექტრონული აუქციონის (ინტერნეტ-აუქციონის) პირობები და შესაბამის ველში განთავსებული წესები და პირობები (საჯარო ხელშეკრულება).

2. ხელშეკრულების ობიექტი

- 2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ”გამყიდველი“ გადასცემს ”მყიდველს” _____ სატრანსპორტო საშუალებებს: _____ (დაუკომპლექტებელი, ექსპლუატაციისათვის გამოუყენებელი).
- 2.2 ”მყიდველი” საკუთრების უფლებას შეძენილ ქონებაზე იძენს ქონების სრული საფასურის გადახდისა და 5.1 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის გაფორმების მომენტიდან.
- 2.3 მოცემული სატრანსპორტო საშუალება არ ექვემდებარება სსიპ „შსს-ს მომსახურების სააგენტოში“ მყიდველზე გადაფორმებას, როგორც სატრანსპორტო საშუალება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს _____ (_____) ლარი, დღგ-ს ჩათვლით (ელექტრონულ აუქციონზე ”მყიდველის” მიერ ლოტზე დაფიქსირებული საბოლოო თანხა).

4. ანგარიშსწორების პირობები

- 4.1 "მყიდველის" მიერ ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებული თანხა წინასწარი ანგარიშსწორებით (გადახდილი "ბე"-ს გათვალისწინებით) ჩარიცხულია შპს "ჯიარ ქონების მართვა"-ს საბანკო რეკვიზიტებზე, რაც დასტურდება საგადასახადო დავალებებით (თან ერთვის);
- 4.2 "მყიდველის" მიერ გადახდილი "ბე"-ს თანხა ჩაითვლება ქონების ფასის საბოლოო ანგარიშსწორებისას;

5. გაყიდული ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 5.1 ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებული საერთო ღირებულების სრულად დაფარვის შემდეგ "მყიდველსა" და "გამყიდველს" შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი;
- 5.2 ქონების გატანის პროცესში მყიდველმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხოების ნორმების დაცვა (მათ შორის გარემოსდაცვითი და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმების დაცვა), რომელთა დარღვევის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა ეკისრება მყიდველს;
- 5.3 ქონების გატანის, სატრანსპორტო საშუალების ტრანსპორტირების, საჭიროებისას შეკეთების, აუცილებელი საბუთების გაფორმების და ამასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას უზრუნველყოფს მყიდველი;
- 5.4 ქონების გატანასთან დაკავშირებული პროცედურები (ტრანსპორტირება და სხვა) უნდა განხორციელდეს მხოლოდ სამუშაო დღეებში 9⁰⁰საათიდან - 17⁰⁰საათამდე;
- 5.5 ქონების გატანასთან და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული პროცედურების ხელშეკრულების პირობებისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელებაზე და გატანის ვადების დაცვაზე პასუხისმგებელია „მყიდველი“.
- 5.6 "გამყიდველის" მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე, უფლებამოსილი პირია, _____ - _____, ტელ.: _____.

6. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

- 6.1 "გამყიდველი" ვალდებულია "მყიდველს" გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტში განსაზღვრული ქონება;
- 6.2 "მყიდველი" ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს ხელშეკრულების ობიექტის გატანა "გამყიდველის ტერიტორიიდან";

- 6.3 ხელშეკრულების 6.2 პუნქტის მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში "მყიდველი" ვალდებულია "გამყიდველს" გადაუხადოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცელებულ დღეზე ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულების 0,1 %.
- 6.4 შეძენილი ქონების ადგილზე დაჭრისა თუ უტილიზაციის შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია გაიტანოს დარჩენილი ნარჩენები და გაასუფთაოს ტერიტორია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გატანიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღის ვადაში.
- 6.5 ხელშეკრულების 6.4 პუნქტის მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში "მყიდველი" ვალდებულია "გამყიდველს" გადაუხადოს პირგასამტეხლო ქონების ღირებულების 0,05%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცელებულ დღეზე.

7. დავის გადაწყვეტა

- 7.1 მხარეები მიიღებენ ყველა შესაძლო ზომას, რათა მათ შორის წარმოშობილი უთანხმოება და და გადაწყვიტონ ურთიერთშეთანხმებით;
- 7.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას გადაწყვეტს სასამართლო ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 8.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

9. დასკვნითი დებულებები

- 9.1 ხელშეკრულებაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, რაც ფორმდება წერილობითი ფორმით.
- 9.2 მხარეთა შორის ოფიციალური ურთიერთობები (მიმოწერა, შეტყობინება, ფულადი ტრანზაქცია და სხვა) უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მე-11 პუნქტში მითითებულ რეკვიზიტებზე. ამასთან, მხარე, რომლის რეკვიზიტებიც არასწორადაა მითითებული ხელშეკრულებაში ან დამატებით შეტყობინებაში, თვითონ აგებს პასუხს დამდგარ შედეგებზე.
- 9.3 მხარეები ვალდებული არიან მისამართებისა და რეკვიზიტების შეცვლის თაობაზე ერთმანეთს აცნობონ დაუყოვნებლივ.

9.4 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

9.5 წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე დამატებით წერილობით ან სიტყვიერ შეთანხმებას.

10. მხარეთა რეკვიზიტები

”გამყიდველი”
შპს ”ჯიარ ქონების მართვა”
ქ.თბილისი, თამარ მეფის №15
ტელ.: 591 400 320

”მყიდველი”

პ/ნ ს/კ _____
ტელ.: _____

გენერალური დირექტორი

კობა ლაცაბიძე

_____ 2019 წელი

ერთის მხრივ, შპს "ჯიარ ქონების მართვა", შემდგომში "გამყიდველი", წარმოდგენელი მისი _____ - _____ სახით და მეორეს მხრივ, _____ (პ/ნ ს/კ _____), შემდგომში "მყიდველი", ვდებთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ "გამყიდველმა" გადასცა, ხოლო "მყიდველმა" მიიღო 2019 წლის __ _____ გაფორმებული №რქმ/_____ ხელშეკრულების მე-2 პუნქტით განსაზღვრული ნასყიდობის ობიექტი: სატრანსპორტო საშუალება _____ (დაუკომპლექტებელი, ექსპლუატაციისათვის გამოუყენებელი).

მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებულია 4 ეგზემპლარად, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და თან ერთვის.

"გამყიდველი"

შპს "ჯიარ ქონების მართვა"

"მყიდველი"
